საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1750/01
23/02/2022

1750-01-2-202202231532

შპს „აგრო საწარმოს“ დირექტორს

ბატონ ნუგზარ წყაროზიას

მის: ი. ჭავჭავაძის გამზირი №33ე, ბინა 9

ბატონო ნუგზარ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 4 თებერვლის №1728 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუმლაყის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში (სურ. 1 - ტერიტორიის სიტუაციური რუკა) წყალჩაშვება ნაჩვენებია კოორდინატებზე X-567990 Y-4628096, ხოლო წყალაღება X-568061 Y-4628034. დოკუმენტის ტექსტში ასევე მითითებულია, რომ „სალექარ ორმოში შეგროვილი და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჭერმისხევის ერთ-ერთ განშტოებაში შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-568061 Y-4628034“. დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების და გამოყენებული წყლის ჩაშვების წერტილების კოორდინატები;
- წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია, რომ წყლის აღება „დაგეგმილია სპეციალური ტუმბოს მეშვეობით, საწარმოს მიმდებარედ არსებული არხიდან“, ხოლო მე-10 გვერდზე მითითებულია, რომ „პროცესის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება მდინარე ჭერმისხევის წყალი“. დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ი და მათი მახასიათებლები, საიდანაც ხდება წყლის ამოღება და გამოყენებული წყლის ჩაშვება;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების და ჩაშვების ჯერადობის თაობაზე თვეების მიხედვით, ამოღებული და ჩაშვებული წყლის რაოდენობების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე